# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№5 (273) მაისი, 2014 წელი




**მილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!**

## ნომერში:

თსსუ-ის სტუდენტები გამარჯვებული პროექტით
გვ. 2

სამეცნიერო კონფერენციები
გვ. 2

კონკურსი აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობათა დასაკავებლად
გვ. 3

ჩვენი იუბილარები
გვ. 4,5,6

სტუდენტთა შემოქმედება
გვ. 7

**„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია:**
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი:
**დალი გაბეშია**
ტ.: 599 76 25 98
კორესპონდენტები:
**მანანა ფხალაძე**
ტ.:555 29 98 27
**დარეჯან კომლაძე**
ტ.:558 17 08 47
**ნატო ბოლქვაძე**
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა:
medpressa@yahoo.com

# ინოვაციური პროექტის ფარგლებში

ახლახან საქართველოს პრემიერ-მინისტრი, **ირაკლი ღარიბაშვილი**, განათლების საერთაშორისო ცენტრის ღია კარის დღეს დაესწრო და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რექტორებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. ცენტრი სწორედ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ინოვაციური პრო-



ექტის ფარგლებში დაარსდა და მისი მიზანი მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაა. „შემუშავებულია სრულიად გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევის წესი, რომელიც გამორიცხავს რაიმე ტიპის პრივილეგიებს. ჩვენ გვყავს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა თაობა, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და მჯერა, ჩვენ, ყველა ერთად, აუცილებლად მივაღწევთ წარმატებებს", – აღნიშნა პრემიერმა.

ცენტრის ეგიდით განხორციელდება 3 პროგრამა: **სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის დაფინანსება; საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერების და პრაქტიკოსების მოწვევა საქართველოში; საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული გადამზადების პროგრამა.**

განათლების და მეცნიერების მინისტრმა, ქალბატონმა **თამარ სანიკიძემ** სტუდენტებს მიმართა, რომ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა, რადგან კარგი საშუალება უცხოეთში სწავლის დაფინანსების მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანია, რომ საზღვარგარეთ სწავლის მსურველ სტუდენტებთან გაფორმდება ხელშეკრულება, რაც, აღნიშნული პროგრამის მიხედვით, ახალგაზრდების საქართველოში დაბრუნებას და შეძენილი ცოდნის სამშობლოსთვის მოხმარებას ითვალისწინებს.





გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს და უნივერსიტეტებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, **კახა აბულაძე**.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა კმაყოფილება გამოხატეს ამ არაჩვეულებრივი შანსის გამო, რაც მათ მაღალი დონის ცოდნის მიღების და მისი სრულად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს.

# დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე







26 მაისს, ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. წელს, ამ მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა უწყება, მათ შორის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ სახელდახელოდ მოწყობილ კარავში წარმოდგენილი იყო საინფორმაციო კუთხე; დამთვალიერებელი, ასევე, გაეცნო ჩვენს უნივერსიტეტში არსებულ სწავლების მეთოდოლოგიასა და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენებისა და დანერგვის გამოცდილებას.

შვილთან ერთად თსსუ-ის მიერ მოწყობილ კარავს ესტუმრა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი, ქალბატონი **თამარ სანიკიძე**, რომელიც კმაყოფილი დარჩა წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალით და იმ სამომავლო გეგმებით, რომელზეც მას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია** ესაუბრა.

# კონფერენცია, გამარჯვებულთა პრეზენტაცია...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტებისთვის ახორციელებს **„ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროგრამებს“**, რომლის მიზანია კონკურსის წესით დაფინანსდეს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პროექტები. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ხვდებიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ცნობილი პროფესორები, მეცნიერები, რომლებიც მათ მასტერ-კლასებს და სემინარებს უტარებენ. შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც გაიმართა რვა გამარჯვებული პროექტის პრეზენტაცია, ამას წინათ სასტუმრო **„შერატონში“** გაიმართა.

კონფერენციას დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელმაც გამოსვლისას აღნიშნა, რომ მთავრობა ძალას არ იშურებს, ახალგაზრდობას შეუქმნას ყველა პირობა განვითარებისა და ცოდნის რეალიზებისთვის. მსგავსი სკოლების არსებობა ხელს უწყობს ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი თვალსაწიერის გაფართოებას. მისი შეფასებით, ეს პროგრამები წინგადადგმული ნაბიჯია საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების გზაზე.

კონფერენციის სტუმრებს შორის იყვნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, **თამარ სანიკიძე,** თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი **ტასილო შმიდტი** და სხვები.

პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ** გამოსვლისას აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვან პროექტს; ეს პროექტი განსაკუთრებულია სამედიცინო განათლების თვალსაზრისით და ინტერნაციონალიზაციის საშუალებას იძლევა, რაც სამედიცინო განათლებისთვის პრიორიტეტულია. სამედიცინო უნივერსიტეტში 37 ქვეყნის 1900-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტი ორიენტირებულია, რაც შეიძლება მეტი აღიარებული მეცნიერი მოიწვიოს უცხოეთიდან – მხოლოდ ორი წლის განმავლობაში 220-მა პროფესორმა, მსოფლიოს სხვადასხვა










წამყვანი უნივერსიტეტიდან და კლინიკიდან, 300-ზე მეტი კონსულტაცია და 100-ზე მეტი ოპერაცია ჩაატარა ამ პროექტის ფარგლებში.

საქართველოს განათლე-ბისა და მეცნიერების მინისტრმა, **თამარ სანიკიძემ,** ისაუბრა სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტზე, რომლის მიზანია კონკურსის წესით დაფინანსდეს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პროექტები მეცნიერულად აქტუალურ და რელევანტურ თემებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტის პროფესორმა **თამარ სანიკიძემ** აუდიტორიას წარუდგინა სტუდენტები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო თემა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. პროექტი – **„სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის პრინციპები“** – უაღრესად რეზონანსული გახდა. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდაც გეგმავენ ამ სახის პროექტებში აქტიურ ჩართვას.

# სტუდენტთა ტრადიციულ კონფერენციაზე

თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით, გაიმართა **მე-15 სასწავლო-სამეცნიერო საუბრები (Student teaching scientifis talk)**.

ტრადიციული კონფერენცია – **STS** – სათავეს იღებს 1998 წლიდან, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს პროფესორებმა: **ე. რაფავამ, რ. ბერიშვილმა, ე. აბზიანიძემ, ი. კვაჭაძემ, ნ. ნინუამ, თ. ალავერდაშვილმა,** ასევე, სტუდენტებმა: **ლ. მაყაშვილმა, ლ. ლაბაურმა, თ. ჩოგოვაძემ, დ. ლორიამ, ე. თათარაძემ, გ. შალაშვილმა, ს. ხარძეიშვილმა, გ. ადამაშვილმა, ქ. ლაშხიამ** და სხვებმა.

კონფერენციის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი ნაშრომები წარმოადგინონ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, რაც საწინდარია იმისა, რომ მათ თამამად შეძლონ, დახვეწილად და დამაჯერებლად მოახერხონ თავიანთი ნაშრომების საერთაშორისო დონეზე წარდგენა.

მე-15 სასწავლო-სამეცნიერო საუბრებზე წარმოდგენილ 17 თემასა და !2 სასტენდო მოხსენებას შორის შეირჩა 6 ნამუშევარი, რომელიც დაიბეჭდა თსსუ-ის ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოცემულ ყოველწლიურ შემაჯამებელ ნაშრომთა კრებულში.





ყველაზე აქტიურ ლექტორს – ასისტენტ-პროფესორ **დავით ცხომელიძეს** (4 თემის ხელმძღვანელი) და ყველაზე აქტიურ – **პათოლოგიური ანატომიის და ციტოპათოლოგიის** დეპარტამენტს – გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

გამოვლინდა საუკეთესო ნაშრომები, რომელთა ავტორები არიან: **ფიქრია გორგოძე, მარიკა ტურავა, ნათია ფირცხალავა** (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსი, ხელმძღვანელი **ხათუნა კუდავა), თამარ ჯიბუტი** (თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსი, ხელმძღვანელი, პროფესორი **გია დიდავა**), **თორნიკე მთავრიშვილი** (თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მე-2 კურსი, ხელმძღვანელი **მარიკა სურგულაძე),** ასევე, უცხოელი სტუდენტების საუკეთესო ნამუშევრები – **ილჯაზ ახმედ ლიას** (მედიცინის ფაკულტეტის მე-2 კურსი, ხელმძღვანელი **თიკა ტყემალაძე**), **ნასრინ ირფანს, სუმიტ დუტას, ვარტუჰი გრიგორაინცს** (მედიცინის ფაკულტეტი, მე-3 კურსი).

**მიხეილ ჯანჯღავა,**
**თსსუ-ის ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი**

# თეორიული ცოდნა პრაქტიკაში



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის 16-მა მესამეკურსელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციის **USAID**-ის ხელშეწყობით წარმოებულ კვლევაში.

ასოცირებული პროფესორის, **ირინე ზარნაძის,** რეკომენდაციით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, ქალბატონ **ქეთევან გოგინაშვილის,** ხელმძღვანელობით, სტუდენტებმა ჩაატარეს სოციოლოგიური კვლევა ინტერვიუს მეთოდით. მათვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს კითხვარის დახვეწასა და ადაპტირებაში, ასევე, წარმატებით წარმართეს ინტერვიუირება მოსახლეობაში – საყოველთაო დაზღვევის მომხმარებლებში.

სტუდენტებმა შეძლეს ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებაში სამედიცინო სოციოლოგიის სასწავლო კურსის შესწავლის დროს ათვისებული კვლევითი უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება და ქვეყნისთვის მეტად სასარგებლო ინფორმაციის მოპოვება, რაც დაეხმარება სახელმწიფოს კიდევ მეტად განავითაროს და ხელმისაწვდომი გახადოს მოსახლეობისთვის ჯანდაცვა და სახელმწიფო გადაიქცეს რეალურ გარანტად ჯანმრთელობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სტუდენტების საქმიანობა აღინიშნა სპეციალური სერტიფიკატებით, ასევე, უნივერსიტეტში გამოგზავნილი იქნა მადლობის წერილი რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას** სახელზე.

კვლევაში მონაწილე სტუდენტები და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მადლობას უხდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით, ქალბატონ **ქეთევან გოგინაშვილს,** სტუდენტების შრომის დაფასებისა და ხელშეწყობისთვის.

იმედია, თანამშრომლობა მომავალშიც წარმატებით განხორციელდება და სტუდენტებს კვლავაც მიეცემათ საშუალება უნივერსიტეტის კედლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციისა ქვეყნისა და მოსახლეობის სასარგებლოდ.

# განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს საჯარო კონკურსს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად.

საბუთები სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად მიიღება 2014 წლის 12 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, $10^{00}$ სთ-დან $17^{00}$ სთ-მდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, I სართული, ოთახი № 22).

საბუთები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიიღება 2014 წლის 23 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, $10^{00}$ სთ-დან $17^{00}$ სთ-მდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, I სართული, ოთახი № 22).

ინფორმაცია საკონკურსო აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების, კონკურსის პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.tsmu.edu

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად მედიცინის, სტომატოლოგიის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში

### მედიცინის ფაკულტეტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | **მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი** | **ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 2 | **ადამიანის ანატომიის დეპარტამენტი** | **ასოცირებული პროფესორი – 1** |
| 3 | **ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი** | **ასოცირებული პროფესორი – 1** |
| 4 | **ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი** | **ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 5 | **ქირურგიის დეპარტამენტი №1** | |
| | **5.1. უროლოგიის მიმართულება** | **ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 6 | **ქირურგიის დეპარტამენტი №2** | |
| | **6.1. ურგენტული ქირურგიის მიმართულება** | **პროფესორი – 1** |
| | **6.2. ნეიროქირურგიის მიმართულება** | **ასოცირებული პროფესორი – 1**<br>(ნეიროონკოლოგიის განხრით რადიაციულ თერაპიასა და/ან ქიმიოთერაპიაში მუშაობის გამოცდილებით) |
| 7 | **ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტი** | |
| | **7.1. ნარკოლოგიის მიმართულება** | **ასოცირებული პროფესორი – 1** |
| 8 | **პედიატრიის დეპარტამენტი** | |
| | **8.1. ბავშვთა ქირურგიის მიმართულება** | **ასოცირებული პროფესორი – 1** |
| | **8.2. ბავშვთა ნერვულ სნეულებათა მიმართულება** | **ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 9 | **თვალის სნეულებათა დეპარტამენტი** | **ასისტენტ-პროფესორი – 2** |
| 10 | **კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი** | **ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 11 | **შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტი** | |
| | 11.1. ზოგადი თერაპიის მიმართულება | **პროფესორი – 1** |
| 12 | **კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>(სამედიცინო სიმულატორებთან და მულაჟებთან მუშაობის გამოცდილებით);<br>**ასოცირებული პროფესორი – 1**<br>(ნეონატოლოგი, სამედიცინო სიმულატორებთან და მულაჟებთან მუშაობის გამოცდილებით);<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1**<br>(მეან-გინეკოლოგი, სამედიცინო სიმულატორებთან და მულაჟებთან მუშაობის გამოცდილებით) |

### ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | **რეაბილიტაციურ მეცნიერებათა დეპარტა-მენტი** | |
| | 1.1. ფიზიკური მედიცინის მიმართულება | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 1** |
| 2 | **სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზი-ტოლოგიის დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |

### სტომატოლოგიის ფაკულტეტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | **ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილატიკის დეპარტამენტი** | |
| | **1.1. თერაპიის მიმართულება** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 1**<br>**ასისტენტ-პროფესორი- 1** |
| | **1.2. ქირურგიის მიმართულება** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 1** |
| 2 | **ოდონტოლოგიის დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 2**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 3 | **პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 2**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 4 | **ორთოდონტიის დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 1**<br>**ასისტენტ-პროფესორი –1** |
| 5 | **ორთოპედიული სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ორთოპედიის დეპარტამენტი** | |
| | **5.1. საფანტომო ორთოპედიული სტომატოლოგიის მიმართულება** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 2**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| | **5.2. კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის მიმართულება** | **პროფესორი – 1** |
| 6 | **ქირურგიული სტომატოლოგიის და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასოცირებული პროფესორი – 1**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |
| 7 | **პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტი** | **პროფესორი – 1**<br>**ასისტენტ-პროფესორი – 1** |

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ფარმაკობოტანიკის ლაბორატორია**<br>(ბიოლოგი, ბოტანიკოსი, ფარმაცევტი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 2. | **ალკალოიდების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ქიმიკოსი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 3. | **ფენოლური შენაერთების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 4. | **სტეროიდული შენაერთების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 5. | **ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 6. | **ფარმაცევტული ანალიზის ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 7. | **ტერპენული შენაერთების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 3** |
| 8. | **მცენარეული ბიოპოლიმერების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ქიმიკოსი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 9. | **ფერმენტოლოგიის ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ქიმიკოსი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით) |
| 10. | **ლიპიდების და ანტრაქინონების ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ქიმიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 11. | **ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმიური მოდიფიკაციის ლაბორატორია**<br>(ფარმაცევტი, ქიმიკოსი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 12. | **წინაკლინიკური ფარმაკოლოგიური კვლევის განყოფილება**<br>(ფარმაცევტი, ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი, ექიმი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 3** |

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ბიომედიცინის ლაბორატორია**<br>(ბიოლოგი, ბიოფიზიკოსი, ექიმი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი** – 1 |
| 2. | **ოქსიდაციური პროცესების ბიოფიზიკის ლაბორატორია**<br>(ექიმი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 3. | **რეცეპტორული სისტემების ბიოქიმიის ლაბორატორია**<br>(ბიოფიზიკოსი, ქიმიკოსი) | **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 2** |
| 4. | **ბიოაქტიური ნივთიერებების ლაბორატორია**<br>(ბიოქიმიკოსი, ექიმი, ქიმიკოსი, ბიოფიზიკოსი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 5. | **იმუნო-რეაბილიტაციის ლაბორატორია**<br>(ექიმი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 6. | **ფარმაკოიმუნოლოგიის ლაბორატორია**<br>(ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი) | **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 7. | **კლინიკური და ექსპერიმენტული ალერგოლოგიის ლაბორატორია**<br>(ექიმი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |
| 8. | **ეკოლოგიური ვირუსოლოგიის ლაბორატორია**<br>(ექიმი, ბიოლოგი) | **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1**<br>(შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილებით),<br>**მეცნიერი თანამშრომელი – 1** |

საიუბილეო

# თ ი რ მ ე 8 0 წ ლ ი ს ყ ო ფ ი ლ ა . . .



1934 წლის 21 აპრილს, ექიმების ოჯახში დაიბადა... საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1952 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დასრულების შემდეგ, კვალიფიკაცია აიმაღლა ქირურგიაში და პროფესიული საქმიანობა ტყიბულის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში დაიწყო ქირურგ-ორდინატორად. პროფესორობამდე მრავლისმომცველი და საინტერესო იყო ბატონი **ელგუჯა ყიფიანის** საქმიანობის გზასავალი: სამოქალაქო აეროფლოტის საავიაციო მედიცინის ლაბორატორიის ქირურგი-ექსპერტი; თბილისის მეორე კლინიკური საავადმყოფოს მეორე ქირურგიული განყოფილების ქირურგი; რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სანავიო განყოფილების ექიმი; ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი; შემდგომში – მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ამავე სახელწოდების კათედრის ასისტენტი, დოცენტი, 12 წლის მანძილზე – 1992-2004 წლებში – თსსუ-ის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგე, ამჟამად – თსსუ-ის ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

გულ-სისხლძარღვთა ქირურგიული ანატომია მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა, ასევე, ღვიძლის ინტრაორგანული მილოვანი სისტემების ტოპოგრაფია, ღვიძლის ექსპერიმენტული მორფოლოგია და ოპერაციული ქირურგია. გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, ბატონი ელგუჯა მუდამ ამ უმაღლესი სამედიცინო სკოლის ყოველდღიური ცხოვრების შუაგულშია. არჩეული იყო მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: სანჰიგიენური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მიმღები საგამოცდო კომისიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. დაჯილდოებულია „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით და „ღირსების ორდენით". არის მრავალი სამეცნიერო ყრილობისა და კონფერენციის მონაწილე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე – მის ფარგლებს გარეთ. ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის სამი სახელმძღვანელო და ამდენივე დამხმარე სახელმძღვანელოა.

ამჟამად ბატონი ელგუჯა თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრია და კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომიის დეპარტამენტში. იგი თავისი ღვაწლით და ადამიანობით, სახეა როგორც ოჯახის, ისე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა.



ბატონ ელგუჯა ყიფიანს

ბატონო ელგუჯა,

ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია თქვენი ცხოვრება და საქმიანობა თქვენი Alma Mater-ის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. თქვენ ბრძანდებით ადამიანი, ვისი ღვაწლიც განუზომელია ექიმთა, სტომატოლოგთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტთა რამდენიმე ათეული თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში.

პროფესიული საქმიანობის თითქმის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში თქვენ ღირსეულად განვლეთ აკადემიური კარიერის ყველა საფეხური – ასისტენტიდან კათედრის გამგემდე; ახლა კი ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე გულუხვად უზიარებთ ჩვენს სტუდენტებს ცოდნას და, რაც მთავარია, [illegible] ადამიანთა შორის პატივცემული, კორექტული, ჰუმანური, გულწრფელი, სანდო და სამართლიანი ურთიერთობის მაგალითს. ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენი რჩევა თუ შენიშვნა, წინადადება თუ რეკომენდაცია, რადგან, დარწმუნებული ვართ, ის ნაკარნახებია უნივერსიტეტის სიყვარულით, გატარებულია მრავალწლიანი პედაგოგიური, სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის გამოცდილების ფილტრში.

უკვე კარგა ტრადიციად იქცა, რომ თქვენ ერთ-ერთი პირველთაგანი ბრძანდებით, ვინც დარბაისელი სიტყვით ხვდება და გზას ულოცავს ჩვენს პირველკურსელებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თითოეული თქვენი სიტყვა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, შესაძლოა – განმსაზღვრელიც კი, ეხმარება რა სწორი მიმართულების მოძებნაში მომავალი [illegible] და გრძელ პროფესიულ ლაბირინთებში [illegible] დიდხანს!

მასწავლებლობის პასუხისმგებლობის როლის შესრულებამდე თქვენ ექიმის ნაყოფიერი და საინტერესო გზა განვლეთ. კოლეგებს და მოსწავლეებს ყოველთვის და ყველგან იმიტომ უყვარხართ, ბატონო ელგუჯა, რომ თქვენს მრავალმხრივ ცოდნას, ემოციას და გამოცდილებას დაუზოგავად გადასცემდით მათ და ეს ასეა დღესაც. თქვენ არა მარტო ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის, არამედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახე, იმედი და ბურჯი ბრძანდებით!

თქვენ იცით შრომის, სიკეთის, ერთგულების, უფროს-უმცროსობის და მეგობრობის ფასი! ეს კი დიდი მადლია თქვენი მოსწავლეებისა და გარშემომყოფთათვის.

ბატონო ელგუჯა,

თქვენი ცხოვრების [illegible], თქვენი ღვაწლის და დათესილი სიკეთის ნაყოფი თქვენი მოყვარული შვილები და შვილიშვილები, ახლობლები, მტკიცე და სოლიდარული აკადემიური გუნდი – თქვენი დეპარტამენტი, მადლიერი მოსწავლეები და უამრავი პატივისმცემელი კოლეგაა.

თითოეული მათგანის სახელით გილოცავთ 80 წლის იუბილეს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმშვიდეს, ჰარმონიას, გარშემომყოფთა კარგად ყოფნას, საინტერესო გეგმებს და მათ წარმატებით განხორციელებას!

გისურვებთ, კიდევ დიდხანს ყოფილიყავით ჩვენს გვერდით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამსახურში!

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

აპრილი, 2014 წელი





დიდად პატივცემულო ბატონო ელგუჯა!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ – [illegible] დიდ ქართველს, დახვეწილ მოქალაქეს, მეცნიერსა და პედაგოგს და მხურვალედ მოგილოცოთ თქვენი [illegible] და ნაყოფიერი მოღვაწეობის [illegible] თარიღი.

გულწრფელ სიხარულს გამოვხატავ თქვენს იუბილესთან დაკავშირებით. 25 წელზე მეტი გავატარე თქვენს მხარდამხარ ჩემს მშობლიურ თბილისის სს. სამედიცინო უნივერსიტეტში და თქვენ ისევე მშობლიური და გამორჩეული [illegible] როგორც ჩემი საყვარელი ოჯახის თითოეული წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში შორიდან მიწევს თქვენი ცქერა, მე თქვენი გულშემატკივარი ვარ და გულწრფელად მიხარია თქვენი ნებისმიერი წარმატება. [illegible]

[illegible]

ბატონო ელგუჯა! [illegible]

[illegible]

პროფ. [illegible]

[illegible]



# „ისე დიდია სიკეთის ფასი"

ბევრჯერ მიფიქრია: რას ვიზამდი ახალკურსდამთავრებული რომ ვიყო? ალბათ იმავე გზას გავივლიდი. დიახ, მიმაჩნია, რომ ბედნიერი ვარ; რომ ცხოვრებაში გამიმართლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კათედრაზე აღმოვჩნდი და უკვე ოთხი ათეული წელია ამ კათედრის ერთგული ვარ. ისეთი პედაგოგები მყავდა – ბატონები: **შალვა თოიძე, შამშე ქევანიშვილი, ელგუჯა ყიფიანი,** რომელთა დარი ძნელად თუ მოიძებნება დღეს.

ბატონი შალვას და ბატონი შამშეს გარდაცვალების შემდეგ ყველას გვეგონა, რომ ის საუკეთესო, რაც სუფევდა კათედრაზე – თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემა, მშვიდი გარემო, სუბორდინაციის დაცვა, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის არსებულ დონეზე შენარჩუნება გართულდებოდა. მაგრამ ბატონმა ელგუჯამ კათედრის თავკაცობა ღირსეულად გააგრძელა, ყოველგვარი ხმამაღალი მოწოდებებისა და ჭკუის სასწავლებელი შეგონებების გარეშე. მისი საუკეთესო თვისებები: კეთილგანწყობა, გულისხმიერება, ყურადღება და თანაგრძნობა კათედრის ყველა თანამშრომელზე ნაწილდებოდა და არა მარტო მათზე – სტუდენტები დღემდე უზომოდ შეყვარებული არიან ბატონ ელგუჯაზე.

ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ერთ გამორჩეულ ეპიზოდს გავიხსენებ ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობიდან: კათედრის დოცენტი ვარ, ლექციებს ვკითხულობ, მყავს მეუღლე, შვილები და ეს ყველაფერი საკმარისად მიმაჩნია. ერთ მშვენიერ დღეს დამიძახა ბატონმა ელგუჯამ და მითხრა: –„შენ უნდა დაიწყო სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა". ვიფიქრე, ეს მხოლოდ სიტყვის მასალად ნათქვამი ფრაზა იყო და ღიმილით მივიღე. მაგრამ როცა ეს სიტყვები უკვე ყოველდღიურ რეჟიმში გადავიდა, მივხვდი, რომ საქმე სერიოზულადაა. ეს ის პერიოდია, როდესაც შვილები პატარები არიან, ოჯახს ჩემი ხელი სჭირდება, სადოქტორო დისერტაციის დამტკიცებისთვის მოსკოვში გამგზავრებაა საჭირო; ქვეყანაშიც არეულობაა. მაგრამ ბატონი ელგუჯას ყოველდღიურმა შეძახილმა შედეგი გამოიღო. მისი დამსახურებაა, რომ დღეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვარ. თითქოს არაფერია შენს თანამშრომელს შეუძახო, დააკვალიანო, ხელმძღვანელიც შეურჩიო, მაგრამ მინდა გულწრფელად გითხრათ: ყველა კათედრის გამგე ასე არ მოიქცეოდა. პირველი, ვისაც ჩემი გამარჯვება გაუხარდა, ბატონი ელგუჯა იყო. დიახ, დიდია სიკეთის ფასი.

არაფერია ადამიანისთვის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ცხოვრებაში კუთვნილი ადგილის პოვნა. ბატონ ელგუჯას, ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრს, პროფესიონალს, დიდი წვლილი მიუძღვის სტუდენტთა აღზრდის საქმეში. ის ისეთივე შემართებით კითხულობს ლექციებს და ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, როგორც მრავალი წლის წინ.

...სწრაფად გაირბინა წლებმა და აი, ბატონი ელგუჯაც 80 წლისაა, თუმცა წლებმა მას ვერაფერი დააკლო...

ბატონ ელგუჯას ვუსურვებ უფლის წყალობას, სამშობლოს კეთილდღეობას, ამაღლებულ განწყობას, სიხარულიან დღეებს, წარმატებებს პირად საქმიანობაში, ჯანმრთელ სიცოცხლეს, ტკბილ სიბერეს.

სიყვარულით,
**ლია კიკალიშვილი**

# მეგობარსა და კოლეგას!

ბატონო ელგუჯა, ამას წინათ ჩვენი **40** წლის წინ გადაღებული სურათი ვნახე, – საპირველმაისო კოლონის შემადგენლობაში ვდგავართ ერთმანეთთან ახლოს. ეს სურათი შემდეგ შევადარე პიონერთა სასახლის კიბეზე გადაღებულ უნივერსიტეტის პროფესორთა სურათს. ამ ორ სურათს შორის სხვაობა **30** წელიწადია, თითქოს ადვილად სათქმელი და გასავლელი, სინამდვილეში კი ის მთელ ცხოვრებას უდრის. გზამ, რომელსაც ჩვენ ერთმანეთის პარალელურად, გვერდიგვერდ, მეგობრულად ხელიხელჩაჭიდებული მივუყვებოდით, თქვენ სამაგალითო კაცობა, დიდი პროფესიონალიზმი, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოგიტანათ, რაც, უდავოდ, სასიხარულოა ჩვენთვის – შენი მეგობრებისთვის!

ჩვენი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს რომ გაუბა საუბარი თქვენ შესახებ, მაშინვე შეატყობ სახეზე, როგორ გადაუვლის სიკეთისა და სიამოვნების ტალღა. ეს ის სიკეთეა, რომელსაც შენ უშურველად თესავ თანამშრომლებსა თუ სტუდენტებს შორის. ამის შედეგია ის დიდი სიყვარული, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თაობის ექიმები შენ მიმართ გამოხატავენ. შენც ხომ ფენომენალური მეხსიერება გაქვს და ყველა კურსდამთავრებული ზედმიწევნით კარგად გახსოვს, ალბათ იმიტომ რომ, მთელი შენი პედაგოგიური მოღვაწეობის გზაზე, ყოველთვის სტუდენტის ინტერესების დამცველი იყავი და ამიტომაც დამსახურებულად იღებდი მათგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

ჩემო ელგუჯა, სამაგალითო იყო შენი ურთიერთობა ჩვენს საერთო უფროს მეგობრებთან – **შალვა თოიძესთან, შამშე ქევანიშვილთან, გივი ჟვანიასთან, გივი კვანჭახაძესთან, თეიმურაზ ნათაძესთან** და სხვებთან. როგორ ცდილობდი, მათთვის არ გეგრძნობინებინა, რომ ისინი უფროსი, ჩვენზე ადრე წარმავალი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. განა ჩვენ მათთან მამაშვილური სიყვარული არ გვქონდა ყველაფერთან ერთად? სწორედ ამიტომ, ისინი კი წავიდნენ, მაგრამ დაგვიტოვეს კდემამოსილება, სისადავე, ადამიანის მიმართ სიყვარულის ნიჭი, პედაგოგობის ბედნიერების შეგრძნება, დიდი მამულიშვილობა, პატრიოტიზმი და, თუ გნებავთ, კარგი სადღეგრძელოებიც. განა, ყველა ჩვენი შეხვედრა მათი გახსენებით არ იწყება? სწორედ ეს არის ალბათ ბედნიერება, როცა კაცს შეგიძლია თქვა: – „იმავე გზას გავივლიდი, თავიდან რაც გავიარეო“, – რაც ნიშნავს, რომ ყველა შეიყვარე, ვინც შეგხვდა ამ გზაზე, შექმენი შესანიშნავი ოჯახი, უყვარხარ და გიყვარს შენი მეგობრები, ცხოვრობ და იმედი გაქვს ნათელი მომავლისა. ხომ გახსოვს ჩემი სიტყვები, რომელიც ძალიან მოგეწონა – ჩვენ, პედაგოგები, იმიტომ არ ვბერდებით, ყოველთვის ერთი და იგივე ასაკის სტუდენტების გარემოში რომ ვმოღვაწეობთ და ვცოცხლობთ. ჩვენ მათ კი არ ვშორდებით, არამედ უფრო ვუახლოვდებით, ვინაიდან ასაკის გამო უფრო მგრძნობიარენი და სენტიმენტალურები ვხდებით.

ღმერთმა უცოცხლოს ჩვენს ქვეყანას შენისთანა შვილები.

აკადემიკოსი
**რამაზ ხეცურიანი**

# ჭკუასაკითხავი კაცი

არის ასეთი შეფასება – „ჭკუასაკითხავი კაცი“. მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ასეთი ადამიანები და ერთ-ერთ ჭკუასაკითხავ კაცად **ელგუჯა ყიფიანი** მეგულება, რომელთანაც ორმოცწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. როცა პროფესორ **შალვა თოიძესთან** კათედრაზე ასპირანტებად ჩავირიცხეთ, ელგუჯა საასისტენტო დარბაზში, როგორც ძველ ნაცნობებს, ისე დაგვხვდა **თეიმურაზ კოვზირიძესთან** და **ნუგზარ გოცირიძესთან** ერთად. იგი მაშინვე ვაღიარეთ ჩვენი, მაშინდელი ახალგაზრდობის მახვშად. ჩაისახა მეგობრობა, რომელიც დღემდე უზადოდ გრძელდება.

ჩვენი დიდი მასწავლებელი, პროფესორი **შალვა თოიძე** ადამიანებში განსაკუთრებით აფასებდა აკადემიურობას, დისციპლინას, შრომისმოყვარეობას. სულმნათ ბატონ შალვას ჩვენთან, საუბრებში აღუნიშნავას ელგუჯა ყიფიანის ეს თვისებები.

ბატონ ელგუჯას შეუძლია განიცადოს პატივისცემა სხვის მიერ გაწეული შრომის მიმართ. პირადად მე მისი ასეთი განწყობა თვითრწმენას მმატებდა.

იგი, ბრწყინვალე გვარიშვილი, საამაყო ოჯახიშვილობით, ტრადიციების ერთგულებით გამორჩეული პიროვნება და, არაჩვეულებრივი მეოჯახეა. ყოველთვის იგრძნობოდა, რომ მის ოჯახში სუფევდა სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, ამასთან ერთად, ელგუჯამ და ქალბატონმა **ლამარამ** შვილებს – **მანანას და გოგის** – შრომის სიყვარული ჩაუნერგეს და ნაყოფიც მიიღეს, დღეს ორივე ღირსეული მოქალაქეა თავიანთი ოჯახებით.

ელგუჯა ყიფიანს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერებაში. კერძოდ, იგი ერთ-ერთი პირველთაგანია გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვების არქიტექტონიკის შესწავლის საქმეში, რომელმაც შემდგომ კორონალურ ანგიოგრაფიას და ენდოვასკულარულ კარდიოქირურგიას ანატომიური საფუძველი შეუქმნა.

ჩვენ შორის, კათედრის მაშინდელ ახალგაზრდა პედაგოგებში, ელგუჯა გამორჩეული იყო საგნის ღრმა ცოდნით და სტუდენტებისთვის დიდი პასუხისმგებლობით გადაცემით. დღევანდელი სტუდენტებისგან, რომლებსაც ჩვენ ერთდროულად სხვადასხვა საგანს ვასწავლით, ხშირად მესმის, ჩემო ელგუჯა, შენი ქება, როგორც პადაგოგის და სამაგალითო ადამიანისა. ნათელი გონება, ფიზიკური და სულიერი მხნეობა მოგყვება; დაე, დიდხანს ასე იყოს და ასაკი მხოლოდ ბედნიერმა ბაბუობამ შეგახსენოს!

შენი
**ილო ჭანუყვაძე**



# კიდევ მრავალი წელი გილოცავთ!

სასიამოვნო განცდას მანიჭებს ის გარემოება, რომ საშუალება მეძლევა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცო დაბადებიდან 80 წლის აღსანიშნავი საიუბილეო თარიღი ცნობილ პიროვნებას, ექიმს, სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელს, მეცნიერს და კეთილშობილებით გამორჩეულ ქართველ ინტელიგენტს, პროფესორ **ელგუჯა ყიფიანს**.

ბატონი ელგუჯას პიროვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, რაც განპირობებულია არა მარტო მისი პროფესიული ღვაწლით, არამედ ეს განწყობა სათავეს უფრო ადრეული პერიოდიდან იღებს და უკავშირდება მისი ბიოგრაფიის ადრეულ ეტაპს, რომლის შესახებაც შეიძლება ბატონი ელგუჯასთვისაც ნაკლებად იყოს ცნობილი. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი ელგუჯა და მე იმერეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს რაიონში, ვანში, დავიბადეთ და აქვე მივიღეთ საშუალო განათლება. იმ წელს შემიყვანეს სასწავლებელში, როდესაც ბატონი ელგუჯა უკვე ამთავრებდა საშუალო სკოლას. ამ დროიდან მოყოლებული ჩვენი მასწავლებლები ხშირად მიგვითითებდნენ იმ მოსწავლეებზე, რომლებმაც წარჩინებით — ოქროს და ვერცხლის მედლებზე დაამთავრეს სკოლა და რომლებითაც ამაყობდა ეს სკოლა. ამ მოსწავლეთა შორის ხშირად მესმოდა ბატონი ელგუჯა ყიფიანის გვარი. ეს გვარი მესმოდა მამაჩემის — მიხეილ ხარძეიშვილისგანაც, რომელიც ბატონი ელგუჯას ქიმიის მასწავლებელი იყო და დღემდე დიდი მადლიერებით იხსენებს მისი მოწაფეც.

გამორჩეული პიროვნული ღირსებები და კეთილშობილება, რომელიც ბატონ ელგუჯას ახასიათებს, გენეტიკურია. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ის ტრადიციული ინტელიგენტური ოჯახი, რომელშიც ბატონი ელგუჯა აღიზარდა. მისი მამა **გიორგი ყიფიანი,** ცნობილი ექიმი სტომატოლოგი და უკეთილშობილესი პიროვნება ბრძანდებოდა, რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ადგილობრივ საზოგადოებაში. მიხარია, რომ ტრადიციას დღესაც წარმატებით აგრძელებს მისი შვილიშვილი, ბატონი ელგუჯას ვაჟი, პროფესორი, გიორგი ყიფიანი.

→ მე-6 გვ-ზე

# ხიდი...

ხიდი კავშირია, მოდიდებული მდინარის გადალახვის საშუალებაა დაუსველებლად, გზის შეუფერხებლად გაგრძელებისა...

ხიდები ადამიანებსაც სჭირდებათ ერთმანეთთან დასაკავშირებლად („კავშირი გულთა შორის“)...

ხიდების გარეშე სახელმწიფოც ვერ იძლიერებს, ეკონომიკა ვერ აეწყობა (აკი ავთანდილიც ასე უანდერძებს როსტევანს: ჩემი ქონების ნაწილი „მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებად“ -)...

ამასათანავე, ხიდი ნიშანსვეტიცაა – დროის, ვითარების, განწყობის გამომხატველი ნიშანსვეტი. დაინახავ თუ არა თამარის ხიდს ბესლეთში, პომპეუსის ხიდს – მცხეთაში, რუხის ხიდს – სამეგრელო-აფხაზეთის შესაყარზე, ანდა, ასი ათასი მოწამის ხიდს – თბილისში, მაშინვე კონკრეტული ასოციაციები ჩნდება და გული სიამაყით, ეჭვით, ტკივილით, ფიქრით ივსება.

არ განხორციელებულა მცირე თუ დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, ხიდებს თავის გულზე რომ არ გაეტარებინათ.

დიდი კაცი უნდა იყო, ხიდის ფუნქციის შესრულება რომ შეძლო. ეს ყველას არ ხელეწიფება.

ბატონმა **ელგუჯა ყიფიანმა** ეს შეძლო, შეძლო წარმატებით და არაერთხელ. ის გახდა ხიდი თავისი დარგის დამფუძნებელ დიდ თაობასა და ამავე ასპარეზზე დღეს მოღვაწე თაობას შორის. მან უძნელეს დროს იტვირთა ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ხელმძღვანელობა, როდესაც თითქმის ერთად წავიდნენ ამ ქვეყნიდან ბატონები – **შალვა თოიძე, შამშე ქევანიშვილი, საულ კახიანი.**

ბატონმა ელგუჯამ გადაიბარა კათედრაზე დარჩენილი ახალგაზრდა კოლეგების ხელმძღვანელობაც, მათ ჩამოყალიბებაზე ზრუნვაც, ასპარეზზე მათი წარმატებული გასვლის ხელშეწყობაც, კათედრის ისტორიულად სამაგალითო იმიჯის შენარჩუნებაც. გადაიბარა და მერე როგორ ვითარებაში: ერთი მხრივ, ეკონომიკურად და ორგანიზაციულად მორყეულ ქვეყანაში, პედაგოგიკასა და მეცნიერებაში მოღვაწეობისადმი დამოკიდებულების ცვლილებების, ხოლო მეორე მხრივ, გლობალიზაციისთვის თანმხლები ცნობიერების და ღირებულებების შეცვლისა და ციფრული ტექნოლოგიების შემოჭრის ჟამს: ვითარებაში, როდესაც ერთდროულად გახდა საჭირო ქართულ ენაზე სწავლების მოდერნიზაცია და თამასის მაღალ დონეზე შენარჩუნება და ინგლისურ ენაზე სწავლების დაწყება-დამკვიდრებაც... მხოლოდ ძველი თანამშრომლების შენარჩუნება კი არა, ახალი კადრების მოზიდვაც... მხოლოდ სამეცნიერო კვლევების არშეწყვეტა კი არა, ახალი სადისერტაციო ნაშრომების შექმნის ხელშეწყობაც... მხოლოდ კათედრის საუნივერსიტეტო ავტორიტეტისა და კათედრათშორისი ურთიერთობების შენარჩუნება კი არა, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაც.

აი, მაშინ იყო, თუ იყო საჭირო ხიდობა.

ბატონმა ელგუჯამ წარმატებით გაართვა თავი ამ მძიმე ფუნქციას: კათედრა თავისი ტრადიციებით და პოტენციალით შეინარჩუნა, განავითარა და გადააბარა მასზე ახალგაზრდებს, თავისსავე აღზრდილებს.

თვითონ კი ისევ ხიდია, ხიდი – წარსულსა და მომავალს შორის, სტუდენტებსა და პროფესორებს შორის, ხიდი – კოლეგებს შორის, საერთოდ – ადამიანებს შორის, ხიდი – კეთილ საქმეებს შორის.

80 წლის შესრულდა ბატონი ელგუჯა ყიფიანი! თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კათედრის – ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის შვილიც და მესვეურიც, პროფესიონალი, სამედიცინო უნივერსიტეტის საყვარელი პიროვნება, სამედიცინო საზოგადოებაში პატივსაცემი კაცი, წარმატებული ოჯახის მამა და ბაბუა, ღიმილიანი, იუმორიანი, პოეტური ბუნების პიროვნება, დღესაც ახალგაზრდულად ენერგიული და შეუპოვარი.

ადვილი აწმყო ჯერ კიდევ არ უდგას ჩვენს ქვეყანას, არც ჩვენს დარგს. არავინ იცის, რა ნიაღვარი შეიძლება მოზვირთდეს უცებ...

სიბრძნე გვჭირდება... ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიგნების ნიჭი!

რჩევისთვის, დახმარებისთვის, იმედისთვის, სხვებთან ერთად, თქვენც მოგაკითხავთ ბატონო ელგუჯა! თქვენი ხიდობის იმედი გვაქვს!

დიდხანს გვექნება!

80 წელი - ეს მხოლოდ ნიშნულია თქვენი ლამაზი სიცოცხლის გზაზე!

პროფესორი
**დიმიტრი კორძაია,**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

← მე-5 გვ-დან

## კვლავ მრავალი წელი გეღვაწოთ!

ნახევარ საუკუნეზე მეტია ბატონი ელგუჯა ემსახურება ქართულ მედიცინას, როგორც ექიმი ქირურგი, ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, კათედრის გამგე. მან თვალსაჩინო მეცნიერული გამოკვლევები ჩაატარა გულის, სისხლძარღვების და ღვიძლის ქირურგიულ ანატომიაში; იგი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, წლების მანძილზე ასრულებდა ორგანიზაციული ხასიათის მრავალ საპასუხისმგებლო დავალებას. ზემოთ ჩამოთვლილი მრავალფეროვანი ნაღვაწიდან ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით, არის ის ამაგი, რომელიც მას მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის წინაშე – ჯერ როგორც ასისტენტს, დოცენტს, შემდეგ – როგორც კათედრის გამგეს. იგი საუნივერსიტეტო ცხოვრების ურთულეს პერიოდში განაგებდა კათედრას. როგორც ხელმძღვანელმა, დიდი რუდუნებისა და თავდადების შედეგად, შემდეგ დღემდე უმწიკვლოდ, ტრადიციების შეუბღალავად შეენარჩუნებინა ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის სახე და ავტორიტეტი. ვფიქრობ, მისი დიდი დამსახურებაა ისიც, რომ დღეს კათედრას ხელმძღვანელობს ღირსეული პიროვნება, პროფესორი **ლიანა კიკალიშვილი,** რომელიც, თავისი მასწავლებლის მსგავსად, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არ გაწყდეს კავშირი კათედრის ტრადიციებს და დღევანდელ ცხოვრებას შორის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ძალისხმევა და მცდელობა, რომელსაც ქ-ნი ლიანა იჩენს მისი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის, ბატონი ელგუჯას, საიბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისთვის.

ვულოცავ ბატონ ელგუჯას საიუბილეო თარიღს; ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა კვლავ, მრავალი წლის განმავლობაში, არ მოაკლოს მზრუნველობა საყვარელ საქმეს, საკუთარ ოჯახს და შთამომავლობას.

**პროფესორი**
**ომარ ხარძეიშვილი**

## ათწლეულების მეგობრობა

ფრიად რთულია მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში ჯეროვნად დაახასიათო გამორჩეული, ფართო დიაპაზონის, ყველას მიმართ არაჩვეულებრივად კეთილგანწყობილი პიროვნება, ამაგდარი პედაგოგი, მეცნიერი და მოღვაწე, პროფესორი **ელგუჯა ყიფიანი**. თუკი მაინც ვბედავთ მასზე საუბარს, ამას მის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება, პატივისცემა და სიყვარული განაპირობებს – ბედნიერებაა, რომ ათწლეულები გვაკავშირებს ასეთი უნიკალური თვისებების მქონე პიროვნებასთან.

ჩვენი ურთიერთობა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს – ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში „სამედიცინო ქალაქის" მესამე კორპუსის II სართულზე სამედიცინო ინსტიტუტის ორი გამორჩეული კათედრა – „ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის" და „პათოლოგიური ფიზიოლოგიისა" – იყო განთავსებული, სადაც ჭეშმარიტად რჩეული ხალხი, პროფესორები: **შალვა თოიძე, თეიმურაზ ნათაძე, შამშე ქევანიშვილი, ავთანდილ გელაშვილი** მოღვაწეობდნენ. მათ დიდი წვლილი მიუძღოდათ „მედქალაქის სულის" შექმნაში. მათ ფრთებქვეშ ვიზრდებოდით ჩვენი უფროსი მეგობარი ელგუჯა და ამ წერილის ავტორებიც. ეს ურთიერთობა მრავალჯერ აღემატებოდა, თუნდაც, ყველაზე ნატიფ „კოლეგიალურ დამოკიდებულებას", ესაა თანადგომის, დახმარების, წრფელი ურთიერთპატივისცემის და სიყვარულის შესანიშნავი მაგალითი.

ამდაგვარ მეგობრობაში ერთმანეთს მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც ვეჯიბრებოდით – იყო თითქმის ყოველდღიური შეხვედრები, საუბრები, კამათიც, ექსკურსიები... ერთად ვიყავით ლხინშიც და ჭირშიც... ზღვარი არ ჰქონდა უფროსი თაობისადმი ჩვენს სიყვარულს და პატივისცემას.

ამ ურთიერთობაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო და არის ჩვენი ელგუჯა ყიფიანი, რომელიც დღესაც სამეგობროდაა შემართული... ეს სითბოთი და სიყვარულით სავსე პიროვნება, პირველი აიტაცებდა ხოლმე ნებისმიერ წამოწყებას და წინადადებას, რომელიც მეგობრობის და გვერდით დგომის განმტკიცებისკენ იყო მიმართული. მას, სტუდენტებისთვის დიდად საყვარელ პედაგოგს, საოცარი მეხსიერების წყალობით, შეუძლია გაიხსენოს თითქმის ყველა მათგანი, რომელთანაც, თუნდაც, ნახევარი საუკუნის წინ ჰქონია ურთიერთობა... სტუდენტებსაც – ყოფილთ თუ ახლანდელთ, უყვართ და აფასებენ თავიანთ პედაგოგს, მის მიმართ პატივისცემით არიან განმსჭვალულნი..

ბატონ ელგუჯას მშვენიერი მეუღლე ჰყავდა, რომელმაც, სამწუხაროდ, ადრე დატოვა ოჯახი... ჰყავს არაჩვეულებრივი შვილები, სიძე, რძალი, შვილიშვილები... ურთიერთობა ჩვენს შორის ოჯახებსაც „გადაედოთ".

მეგობრობა ჩვეენს კათედრებს, ამჟამად – დეპარტამენტებს შორის, დღესაც გრძელდება... დიდი სიხარულია ყოველი შეხვედრა ჩვენს ელგუჯასთან... ის ძველებური ენერგიითაა სავსე... არც მეგობრების სიყვარული განელებია – მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს, ვიხსენებთ განვლილ დროს, ჩვენს მასწავლებლებს...

ხანგრძლივი სიცოცხლე და გამარჯვება შენ, ჩვენო ელგუჯა, კარგი განწყობა და ხალისი არ მოგაკლოს უფალმა, გაიხარე და იმრავლე!

**პროფესორი**
**ვახტანგ ყიფიანი,**
**პროფესორი**
**თეიმურაზ პეტრიაშვილი**

## სამედიცინო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი

ბატონი ელგუჯა ყიფიანი სამედიცინო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი 50 წელზე მეტია ჩაბმულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბატონი ელგუჯა ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის იმ სასიქადულო მესვეურთა საქმის ღირსეული გამგრძელებელია, როგორებიც იყვნენ პროფესორები: **დავით იოსელიანი, ნიკოლოზ დემეტრაძე, შალვა თოიძე, შამშე ქევანიშვილი** და სხვ. ბატონ ელგუჯას კათედრის ხელმძღვანელობა მოუხდა 1994-2004 წლებში, როდესაც ქვეყანაში არაორდინარული სიტუაცია სუფევდა. საქმე ის გახლდათ, რომ პროფესორი შალვა თოიძე სასწავლო პროცესის მაღალ პედაგოგიურ დონეზე წარმართვას დიდ ყურადებას აქცევდა, რის გამოც კათედრის მუშაობაში სასწავლო პროცესს ყოველთვის პრიორიტეტული ადგილი ეჭირა. თუმცა, კათედრა მაღალი სამეცნიერო პოტენციალითაც გამოირჩეოდა. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი სირთულეებისა,ზემოთ აღნიშნულ პერიოდში კათედრის მუშაობა ძველი ტრადიციების სრული დაცვით წარიმართა. ბატონი ელგუჯას ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები



დღესაც გამორჩეულია, რაც განპირობებულია ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის, ამ ურთულესი საგნის, ზედმიწევნით ღრმა ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით, მომთხოვნელობით, სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობით. ბატონი ელგუჯა ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელოს თანაავტორია. თანამშრომელთა მიმართ ყოველთვის იყო და არის გულისხმიერი, სამართლიანი, პროფესიულ საქმიანობაში ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი. ვულოცავთ მას 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი დეპარტამენტის და ინსტიტუტის სასიკეთოდ.

**მანანა რამიშვილი,**
**ასოცირებული პროფესორი**

იუბილარი

## მრავალჟამიერ, ბატონო ჯანო!

პროფესიულ საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გარემოცვა, კოლეგები თუ თანამშრომლები, ვისთანაც გიხდება საქმიანობის წარმართვა. მით უმეტეს, ექიმი როცა ხარ. სამსახურში – სტიმული, განწყობა, ურთიერთობა გარშემომყოფებთან ის ფაქტორია, რომელიც გაძლიერებს და გახალისებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეირომედიცინის დეპარტამენტში, რომელსაც მრავალწლიანი სახელოვანი ისტორია აქვს, ასეთ წამახალისებელ განწყობას გვიქმნის, ამ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი, ჩვენი უფროსი კოლეგა და მეგობარი, ბატონი **ჯანსულ (ჯანო) ვალიშვილია.**



წლები გასულა... 75 წელი ჩაწერილა ბატონი ჯანოს ბიოგრაფიაში. მისი იერ-სახის შემხედვარეს, ეს ასაკი დაუჯერებლად მოგეჩვენება. იგი ისეთივე ახალგაზრდაა, შემართული, შრომისმოყვარე, ენერგიული, ახოვანი, როგორც ადრეულ წლებში... მისი ღიმილიანი სახე დადებითად გმუხტავს. ერუდიცია, მოყვასისთვის გაღებული სითბო, პაციენტებისთვის ულალატო მიდგომა, სტუდენტებისთვის უშურველად გადაცემული ცოდნა სწორედ ის მაგალითია, რომლითაც უნდა საზრდოობდე. ბატონი ჯანოს დანახვა ყველას ახარებს თავისი სიმპათიური გარეგნობით თუ ცხოვრების წესით...

სოფელში გაიზარდა, საშუალო განათლებაც იქ მიიღო, წარჩინებით დაამთავრა სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში... იმ დროს ეს იოლი როდი იყო... სტუდენტობისას ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მუყაითობით, ზრდილობითა და კეთილშობილებით...

მის ცხოვრებაში, დიდი ქარტეხილების მიუხედავად, ადამიანური თვისებები ვერაფერმა შეულახა... ბევრი საქებარი სიტყვა შეიძლება თქვა ბატონ ჯანოზე, რადგან იგი თავისით მოდის და შეკოწიწება ან გამოგონება არ სჭირდება...

ბატონი ჯანოს პროფესიულ წვრთნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგეს, სანაქებო პიროვნებას, აწგარდაცვლილ პროფესორ **ალექსი მინდაძეს**, რომლის საყვარელი სტუდენტი, ასპირანტი, დისერტანტი, შემდეგ კი ასისტენტი გახდა ბატონი ჯანო, მომავალში – კათედრის დოცენტი და ერთ-ერთი საყრდენი...

და ახლაც იგი ჩვეული მადლიერებით, ენთუზიაზმით, კვლავ ღირსეულად აგრძელებს პედაგოგიურ, სამკურნალო თუ სამეცნიერო საქმიანობას, წარმატებით მონაწილეობს სამეცნიერო ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა თუ სხდომებში...

ბატონ ჯანოს სანაქებო ოჯახი ჰყავს, მისი მეუღლე, ცნობილი პედიატრი, უმშვენიერესი ქალბატონი – **ბელა გვენეტაძეა**; ორი შვილის (ორივე ექიმია) მამა, 6 შვილიშვილის და 3 შვილთაშვილის ბაბუაა. განსაკუთრებით შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა გამორჩეულად აღუნიშნეს „ბაბუს" (ასე მიმართავენ ისინი) იუბილე.

გაჭირვების ტალკვესია ბატონი ჯანო... ამ შეჭირვების ჟამს თუ ვინმეს მისი კონსულტაცია დასჭირდა, უანგაროდ, წარბშეუხრელად, დაუყვედრებლად ემსახურება... ესეც ხომ ქველმოქმედებაა და, ჩვენი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი...

მიმდინარე წლის დასაწყისში ბატონი ჯანო და ქალბატონი ბელა საბურთალოს საპატიო მოქალაქეებად დაასახელეს...

ჩვენ კი საიუბილეო თარიღს ამ სიტყვებით ვულოცავთ: მრავალს დაესწარით ჯანმრთელად, წარმატებებით და სიხარულით, პაციენტების და ახლობლების საკეთილდღეოდ!

**თსსუ-ის ნეირომედიცინის მიმართულების დეპარტამენტი**

სიახლეები მედიცინაში

## კომპლექსური მკურნალობის თანამედროვე მეთოდები

რეაბილიტაცია, ანუ აღდგენა, ფართო მნიშვნელობის ცნებაა და სხვადასხვა დარგში აღდგენითი პროცესების ჩატარებას გულისხმობს. იგი აღდგენითი მკურნალობის ძირითადი მიმართულებაა. განიხილება მედიკამენტოზური, ქირურგიული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციური დახმარება. ქირურგიული (ოპერაციული), რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიული მკურნალობის შემდეგ, ჩვენებების მიხედვით, ავადმყოფს უნდა უტარდებოდეს კომპლექსური სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რაც, სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზის გამო, ჩვენთან ხშირად ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის ეფექტური გამოჯანმრთელების და შრომის უნარის აღდგენის თვალსაზრისით.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ფიზიკური რეაბილიტაციის იმ მეთოდზე, რომელსაც **კინეზოთერაპია,** ანუ **მოძრაობითი მკურნალობა** ეწოდება. საბჭოურ პერიოდში იგი ცნობილი იყო, როგორც სამკურნალო ფიზიკური კულტურა. სადღეისოდ მთელ მსოფლიოში აღდგენითი მკურნალობის ეს მეთოდი კინეზოთერაპიის სახელწოდებით არის ცნობილი და მიიჩნევა, როგორც ავადმყოფის კომპლექსური მკურნალობის განუყოფელი საშუალება-მეთოდი.

ფიზიკური რეაბილიტაციის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: ფიზიოთერაპია, ბალნეოთერაპია, ლაზერული თერაპია და სხვ., უდავოდ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაავადების და დაზიანების აღდგენით მკურნალობაში, მაგრამ მათ და კინეზოთერაპიას შორის განსხვავება ისაა, რომ ფიზიკური თერაპიის ზემოაღნიშნული მეთოდებით სისტემატურად, ხანგრძლივად და შეუწყვეტლივ მკურნალობაში გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდან იძლევა გართულებას, ხოლო კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალება – სამკურნალო ვარჯიშები, თუ ავადმყოფს სწორად (დოზირებულად) უტარდება, მისი პროცედურები არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ავადმყოფზე. ამიტომ მთელი რიგი პათოლოგიის შემთხვევაში სამკურნალო ვარჯიშები, როგორც ზოგადი ხასიათის (სუნთქვითი ვარჯიშები და სხვ.), ისე – სპეციალური დანიშნულების მოძრაობები, ავადმყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება უტარდებოდეს. ვარჯიშები – მოძრაობა ორგანიზმის ბუნებრივი თვისებაა, იგი არეგულირებს და ასტიმულირებს ფიზიოლოგიურ პროცესებს, ამიტომ მათი მეთოდურად ჩატარება ყოველთვის ეფექტურ შედეგს იძლევა.

გარდა ფიზიკური ვარჯიშებისა, კინეზოთერაპიის არსენალში განიხილება მასაჟი, სხეულის ნაწილების (განსაკუთრებით ხერხემლის) დაჭიმვა, სხვადასხვა ტრენაჟორზე ვარჯიში, წყალქვეშა ვარჯიშები, სპეციალური მეთოდით ცხენზე ჯირითი – რაიტთერაპია და სხვა.

კინეზოთერაპიის სახეობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უშუალოდ სამკურნალო ვარჯიშებს, ვინაიდან მათი მეშვეობით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება და, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ის შედარებით ხელმისაწვდომია. სამკურნალო ვარჯიშების კომპლექსის ათვისების შემდეგ, ავადმყოფს ყოველდღიურად (ხშირად დღეში 2-ჯერ) შეუძლია დამოუკიდებლად, ე.წ. ინდივიდუალური დავალების სახით, ივარჯიშოს, რასაც აღდგენითი პროცესების სრულყოფის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კინეზოთერაპიის მოქმედების ეფექტურობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც ავადმყოფს იმავდროულად უტარდება ფსიქოთერაპია, ანუ ფსიქოთერაპიული რეაბილიტაცია, რომელიც, რასაკვირველია, ყოველთვის სათანადო დონეზე ვერ ტარდება, მაგრამ ყველა შემთხვევაში მაინც დადებითად მოქმედებს.

→ მე-8 გვ-ზე

# სტუდენტური გვერდი

მივესალმები მკითხველს, რომელსაც ხელთ ორი ახალგაზრდა შემოქმედის ნაწარმოები უნდა შევთავაზო.. იმდენად მძაფრია, იმდენად „ექსტრავაგანტური“, სასიამოვნებითაა გაჯერებული გიორგი ბენდელიანის, ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტის, ლექსები, რომ თითქმის შორეულ მოგზაურობაში გაგაქანებს. – „ბედის ობობამ მომიმწყვდია გრძნობების ქსელში, ხაფანგად დამხვდა სიყვარული ნაოცნებარი, ჯუზიანს აწი რა გამართავს, მარიამ, წელში, სად მიაქანებს ჩემს ოცნებებს ბედის მხედარი?“ თავისი რომანტიკული მსოფლმხედველობებით, გრძნობათა და ემოციათა უნატიფესი გამოვლინებებით, ლექსისთვის დამახასიათებელი ქარაგმით, იმ იდუმალ-ღვთაებრივი სისტემით, რაც მას გამოყენებული აქვს თავის ლექსებში, პოეტურ თვალსაწიერს აფართოებს. კვლავ და კვლავ ვუსურვებ ჩემ კოლეგას, არ განელებოდეს პოეზიის სიყვარული და იდგეს იქ, სადაც პოეზიის ცეცხლი და ქარიშხალია.

აქვე გაგაცნობთ სტომატოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელის, ნათია მალაზონიას ჩანახატებს, რომლისთვისაც სათქმელის ქაღალდზე გადატანა სულიერ მოთხოვნილებად ქცეულა და დაოსტატებულია, ასე იქნება დიდხანს. მის შემოქმედებას თან გასდევს სევდიანი განწყობა, აქა-იქ იმედიან სტრიქონებსაც შეხვდებით, თუმცა ყველაზე მეტად, ალბათ, მისი გულწრფელობა მოხიბლავს მკითხველს.

წარმატებებს ვუსურვებთ ორივეს როგორც შემოქმედებით, ისე პროფესიულ საქმიანობაში; მკითხველს კი ვთავაზობთ მათ ლექსებს და ჩანახატებს.

**გიორგი გაგუა,**
თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი,
„სამედიცინო გაზეთის“ სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი

## გიორგი ბენდელიანი



***

მე შენ უშენოდ ჩემს ქორწილში გრაცხავ პატარძლად,
ანგელოზებმა შეგვიკერონ თეთრი სამოსი,
თვითმკვლელობას რომ აპირებდა, რაში გადარჩა,
ახლა ქროლვისგან ამ სადავის შვება არ ჰყოფნის,
შენ ხელისგულზე ვერ გაკადრებ ღამის გათევას,
სადღაც ტალღებთან უნდა მოვრთო შენთვის საწოლი,
შენ უჩემობის ვერ გაკადრებ, მხოლოდ არჩევანს,
რადგან ჩემსავით, ჩემეული ხატვა საცოლის, არ იცის ბევრმა,
მთვარეს ჰკითხე იშვიათობა,
როგორც ყველა ქალს ყველა მზისგან შენი სხივებით,
მე ცაზე შენი თვალები მაქვს მხოლოდ მნათობად
და მოღალატე მზის ცქერითაც არ გეცილები.
ჩვენ გაზაფხულზე ყვავილებში გადვიხდით ქორწილს,
ამ ყვავილების სურნელობის ჩასუნთქვა დაგვწვავს,
ხის კენწეროზე ორი მტრედი ამაყად რომ ზის,
ქარი უპირებს შეჯახებას,სამოსის ძარცვას.
მე შენი მსგავსი მიწიერი ვერავინ ვნახე,
რადგანაც ჩემთვის შესაფერი შენ გაქვს მშვენება,
რომ შემიყვარდი ამის გამო დაგინთებ სანთელს
და მერე ნაკლიც უნაკლობად მომეჩვენება.
დავკრძალავ ყველას, ვინც აქამდე ოდესღაც იყო
და ახლა სულაც გახსენებად შენს მერე არ ღირს,
მაგრამ წარსული სამუდამოდ რომ დაივიწყო,
ყველა სიმღერა უნდა მოსპო, რაც დღემდე არის.
გავახმობთ კვირტებს, მაგრამ ფესვებს ემახსოვრებათ,
რომ განშორებამ უამრავი ცრემლები იცის,
ზამთარი ზაფხულს მხოლოდ ორ დღეს ემათხოვრება
და გაზაფხულის მოტაცებას აუწყებს ფიცით.
შენ კი მეჯვარედ მაინც დიდ მზეს მოუხმობ მჯერა,
მე კი მეგობარს შანსს მივცემ და მოვუხმობ, მთვარეს,
ბედი არ არის, ყველა თვითონ ქმნის ბედისწერას,
შიში არ არის, მშიშარაც ხომ ათენებს ღამეს.
ფრინველთა გუნდი გვიგალობებს, ვიცეკვებთ დაისს,
სიმახინჯეშიც სითამამეს ვნახავთ თამამად
და ჩვენს ქორწილში უმთავრეს როლს მივანდობთ მაისს,
აყვავებული გვეყოლება რადგან თამადა,
შენ ხელის გულზე ვერ გაკადრებ ღამის გათევას
და გჩუქნი ყველა პირველმოსულ ვარდსა და იას,
იმის გამო, რომ სიყვარულის გადასარჩენად,
შენ ჩემი გულის პულსირების ნებართვა გქვია.

***

ბედის ობობამ მომიმწყვდია გრძნობების ქსელში,
ხაფანგად დამხვდა სიყვარული ნაოცნებარი,
ჯუზიანს აწი რა გამართავს, მარიამ, წელში,
სად მიაქანებს ჩემს ოცნებებს ბედის მხედარი?
არაფერს ვეტრფი, რაც უშენოდ არსებობს სადმე,
ისტორიაშიც ველარ შევალ, ვგონებ, უშენოდ,
რაც კი გამაჩნდა, ერთი სიტყვით, ღიმილით დავთმე
და დავიკიდე იმდენი რამ, დავრჩი უფეხოდ.
რა ვუყო ლექსებს, პოეზიის ტრფიალით ვსუნთქავ,
მელევიძება და იქვე კალამს ვესაუბრები,
ისეთებს ვხედავ, გეფიცები და ისე ვწუხვარ,
ჩემს ქვეყანაში ხალხს აბამენ ნებით ურმებში,
რომ ლუკმა პური მიაწოდონ არათუ მუშას,
არამედ მუშამ მიაწოდოს საკუთარ ოჯახს,
ახლა ხომ ხვდები, ხომ მიმიხვდი, მე რატომ ვწუხვარ?
ხომ ხვდები, ნივთებს რატომ ვუსვრი ამ წყეულ ოთახს?
გუშინ პატარა მათხოვრობდა,
თოვდა და ყველას, ყველას
მის გარდა, ეხურა და ეცვათ თბილები,
დამეხმარეთო, შესთხოვდა და ხელებით ხველას
ვერ იკავებდა გაყინული, განაციები.
ვუყურე დიდხანს ჩემი ხალხის რეაქციებს და,
ზოგნი ამბობდნენ: აიყვანდეს ვინმე შვილადო,
შეჩერდა ვიღაც, დაახველა, შევამჩნიე და
პატარას უთხრა: მეც ხელები ძლივს მაქვს თბილადო.
თითქოს მესროლა ერთდროულად ყველა ქვემეხმა,
ჩავიკეცე და რას ვშველოდი ან იმ პატარას?
მანქანიდან კი, გეფიცები, ვიღაც მელეხმა,
ხურდა პირდაპირ კი არ მისცა,გადააყარა.
ვშიშობ, მარიამ, ყველაფერი ხალხმა არია,
მე შენს სიყვარულს ვინახავ და ხალხი - მაყუთებს,
რაც დღეს ხდება და რაც მოხდება, ხალხის ბრალია,
ხალხის, რომელიც მადარდებს და ასე მაწუხებს.

## ნათია მალაზონია



### ერთად უერთმანეთოდ

*ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ მიცეკვია სიამოვნებით. ვცეკვავდი ტკივილით, ცრემლით, იმედით, უგემოდ ვდგამდი ნაბიჯებს და ფურცლებს. აი, წუხელ ისე მძულდი, მეგონა გაღვიძებისთანავე ნიჟარაში წყალს ჩავაგუბებდი და საათობით გავაჩერებდი ჩემს სახეს მასში სირაქლემასავით.*

*მეგონა წყალს გამოვარეცხინებდი ყველაფერს. წუხელ მსურდა დედამიწას დავიწყებოდა ჩემი აჩრდილი... დღეს შავი კვალები ჩამოვირეცხე. ვცეკვავთ დაუსრულებელ მოედანზე. მე შენს აჩრდილს ვცეკვები, შენ — ჩემსას. ვართ არსად. — უშველებელ მოედანზე უერთმანეთოდ.*

*და მაინც ერთად ვცეკვავთ...*

ალვის ხე ხარ, რომელიც ცის იქეთაც იზრდება

მე ჭიანჭველა ვარ. მქონდა ყველაფერი, რაც მსურდა და არაფერი, რაც თქვენ გსურდათ.

ჭიანჭველა ვარ დაუსრულებელ ოკეანეში, ოკეანე – უჰორიზონტო სამყაროში და მიუხედავად ამისა, ვიცი, ყველაფერი მექნება, რაც მინდა, მთავარია გავაკეთო ამისთვის...

ადამიანები ამბობენ, რომ შეუძლებელია ბედის შეცვლა, რაც გიწერია, იმას ვერ ასცდებით...

მე ჭიანჭველა ვარ და თავად ვწერ იმას, რაც მინდა.

მე ახალგაზრდა ჭიანჭველა ვარ და ვათრევდი იმაზე მეტს, ვიდრე ჩემს ფეხებს შეეძლოთ, დრო გადიოდა და მეტი ტვირთის ტარებას ვითხოვდი, მაგრამ, ჟამთა მსვლელობასთან ერთად, ტვირთი მიმძიმდებოდა. დგებოდა დრო, როცა ტვირთი და ჩემი პაწაწინა ფეხები უნდა გატოლებულიყვნენ და ცალ-ცალკე დამარხულიყვნენ, ამიტომაც გაჩნდა წუწუნები.

ჭიანჭველა ვარ და თავად ვწერ იმას, რაც მინდა.

არ ვეპუებოდი და მაინც, ტვირთს ვზიდავდი. ახლაც ტვირთს ვეძებ და ვიცი ვიპოვი.

თავად ვწერ იმას, რაც მინდა.

ალვის ხე გამოჩნდა. ჰო, მივდიოდი და ალვის ხე დავინახე, მაგრამ მხოლოდ დავინახე და წავედი. რაც უფრო ვშორდებოდი, მეტი ალვის ხე ჩნდებოდა, უფრო მეტი იზრდებოდა. მერე აღმოჩნდა ჩემ უკან, გამასწრეს და გაიზარდნენ. 6 თვე ვიარე ასე, მე მივდიოდი, — მათ არ ვხედავდი...

გავჩერდი და ავხედე.

1 თვე ვუცქერდი ჩემ გვერდით მას.

მომეწონა – გადავწყვიტე სხვათა სილამაზეც მენახა, ყოველი წინა უფრო ლამაზი იყო.

ჭიანჭველა ვარ და თავად ვწერ იმას, რაც მინდა.

დავბრუნდი უკან. შემეძლო გამევლო ეს გზა ათასჯერ და მომეპოვებინა. მზად ვიყავი პირველ ალვის ხეზე ავსულიყავი, ცის იქითაც რომ აზრდილიყო. ვბრუნდებოდი და რაც მეტად მოვდიოდი უკან შენ სანახავად, მით უფრო ქრებოდა ყოველი ხე.

მოვდიოდი და ქრებოდა, გზა შენამდე არ სრულდებოდა, პირიქით, მეტად იზრდებოდა...

10 თვეა მოგსდევ და ჰორიზონტზეც კი არ ჩანხარ. ნეტავ, ამდენი გავიარეთ 6 თვის განმავლობაში. ერთადერთხელ, IX თვეს გადაგივიწყე, ამოგიღე გულიდან და კვლავ წავედი, ჩემ უკან აყვავება დაიწყეს ხეებმა. მსურდა სამუდამოდ გავშორებოდი და არ მშორდებოდი...

მომენატრე და მოვბრუნდი. XVII თვეა უკვე. მოვდივარ და არ ჩანხარ. უდაბნოდ ქცეულ მიწაზე მხოლოდ გაშიშვლებული, გამხმარი ხეებია. — მომავლის გზაზე კი ისინი იმტვრევა.

ჭიანჭველა ვარ და თავად ვწერ იმას, რაც მინდა!

ნუ ამოქარგავ ადამისფერ ასოებს ჩემთვის. მე ჭიანჭველა ვარ, თავად დავწერ, რაც მინდა. ტვირთს ნუ მომაცლი, ვიცი, გიყვარვარ და მიმსუბუქებ... მე მსურს დავწერო, რაც მინდა.

ამ 17 თვის განმავლობაში ორფეხა არსებადაც ვიქეცი და ძალზედ პატარა ტბაში ჩამაგდე. ამოსვლა ვცადე და კიდევ ჩამაგდე. მერე ჩავყვინთე, ფსკერის დანახვა მოვინდომე და უფრო გაღრმავდი. ჯერ ზღვად იქეცი, მერე ოკეანედ. ვყვინთავ და ღრმავდები, ნაპირზე ამოვალ და პატარავდები.

მე ჭიანჭველა ვარ, არ ძალმიძს ჭრიჭინად ყოფნა, რომ შენს აჩრდილებთან ცეკვა ვიკმარო.

წარსულის გზით ქრებიან მომავლის ხეები და მომავლით ყვავდებიან ხენი წარსულისა...

მე ჭიანჭველა ვარ და თავად ვწერ, მაგრამ ვწერ უკვე ადამისფრად ამოქარგულ ასოებზე.

### ყველა(+– )ფერი ორია

კორპუსის მინაში, სულ ბოლო, 32-ე სართულზე, აწმყოს ოთახში ვბინადრობ და ჩემს ოთახს ნაცრისფერის ნაცვლად მინის კედლები აქვს. არ მოვინდომე ელექტროენერგია ჩემს ოთახში; აქ მხოლოდ ორი რამაა და მეც მათთან ერთად ვიბადები და გარდავიცვლები.

მხოლოდ ორ ფერს ვხედავ ჩემი ფანჯრიდან, იცვლებიან, მაგრამ მუდამ ორია. ცის ფერს და მთის ფერს... ისინიც ორ ფერზე ცოცხლობენ: სინათლისა და სიბნელის ფერზე. მე ჩემს ოთახში საწოლიც კი მინის ვარჩიე, რომ უკეთ შემეგრძნო სამყაროს არსებობა, — რომ ყველაფერი მხოლოდ ორია.

დღე სინათლით იწყება და მერე მთელი დღე დილაა. აქ არ არსებობს შუადღე და საღამო, ეს ისეთივე ხელოვნურია, როგორც ადამიანების მიერ შექმნილი ელექტროენერგია.

მე ყოველ დილით ვხედავ მზის დაბადებას და ღამით – გარდაცვალებას.

— რაც მხოლოდ ორია.

მე ვიბადები მზესთან ერთად და სინათლე ჩემთან ერთად იძინებს მისი გარდაცვალებისას.

მთა იბადება, იზრდება, ჭაღარავდება; ცაც თეთრდება, ლურჯდება, შავდება, მაგრამ ორი ფერია მხოლოდ.

— მხოლოდ ორია.

IX სართულიდან ყველანი ქვემოთ იყურებიან. პირველ სართულზე აწმყო აღარ არსებობს, აქ მხოლოდ წარსული და მომავალია, ვინაიდან არსებობს საათი. ჩვენ ვერასდროს ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ აწმყოს, არ გვესმის მისი, გამოდის — ის არც არსებობს. მოდით, შევხედოთ საათს, ახლა 5 წამია-თქო ვიტყოდი, მაგრამ სანამ დავწერე 25 გახდა. იყო 25 და გახდა 26, იყო 26 და გახდა 27. 25 წარსულია და 26 მომავალი, 26 წარსული და 27 — მომავალი. ჩვენ ვერ ვაფიქსირებთ და როცა შევამჩნევთ, ის უკვე წარსულია. ჩვენ ხომ ვერ ვიჭერთ წამის მეასედს, მეათასედს...

აწმყოს ოთახში ვცხოვრობ. აქ მხოლოდ ორი ფერია და მთელი დილა ვუყურებ ორ ფერს.

ახლა მთა თეთრია და ცა ცისფერი. მთა გამწვანდება და ცა გათეთრდება.

წელიწადის დროც ორია: გაზაფხული და შემოდგომა — დაბადება და გარდაცვალება; ზაფხული და ზამთარი — დაბადებული და გარდაცვლილი.

მინის ოთახში ვდგავარ, ერთ მხარეს აღმოსავლეთია, მეორე მხარეს დასავლეთი. როცა აღმოსავლეთი და დასავლეთი დასრულდება, მინის ოთახში შუქი ქრება და სიბნელე იღვიძებს მზის გარდაცვალებისას.

— ყველაფერი მხოლოდ ორია.

სპორტული მედიცინა

← მე-6 გვ-დან

საერთოდ, კინეზოთერაპია უმაღლეს და საშუალო სამედიცინო თუ სპორტულ სასწავლებლებში დამოუკიდებელ საგნად ისწავლება. ეს მეთოდი სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში, რაც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით საქართველოში ვერ ხერხდება, ვთქვათ, ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: ძვლების რთული მოტეხილობები, მიოკარდიუმის ინფარქტი და თავის ტვინის ინსულტი. ამ პათოლოგიების დროს კომპლექსურ მკურნალობაში კინეზოთერაპიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს – როგორც წესი, ასეთი ავადმყოფების მოძრაობის გაუმჯობესება – მისი სრულად ან ნაწილობრივ მაინც აღდგენა – კინეზოთერაპიის გარეშე ვერ ხერხდება. კინეზოთერაპიის მეთოდით აღდგენითი მკურნალობა უნდა უტარდებოდეთ ავადმყოფებს – ცერებრალური დამბლით, სასუნთქი ორგანოების დაავადებით, ნივთიერებათა ცვლის დარღვევით და მთელი რიგი რთული დაავადების შემთხვევაში.

სარეაბილიტაციო ავადმყოფებს, პირველ რიგში, ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო ცენტრები (სტაციონარით და სტაციონარის გარეშე). უდავოდ მისასალმებელია, რომ ბატონმა **დავით ტატიშვილმა** ითავა და შექმნა თანამედროვე სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ეფექტურად ხდება აღდგენითი მკურნალობა არაერთი დაავადების თუ დაზიანების დროს. ასეთი ცენტრები მომავალში ჩვენი ქვეყნის წამყვან ქალაქებშიც უნდა იქმნებოდეს, რაც გადამწყვეტ როლს შეასრულებს საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ ცენტრებში ეკონომიკური თვალსაზრისით ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება მკურნალობა.

სამედიცინო, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიური და ფიზიკური (პირველ რიგში, იგულისხმება კინეზოთერაპია), რეაბილიტაცია ესაჭიროებათ სპორტსმენებს. გვიკვირს, რომ მსოფლიოს საუკეთესო სპორტულ (საფეხბურთო და სხვა სახეობათა) გუნდებში სამედიცინო დარგის ერთი ან ორი წარმომადგენელი კი არ მუშაობს, როგორც ეს ჩვენთან ხდება, არამედ 10-12 სხვადასხვა დანიშნულების რეაბილიტოლოგი უწევს მათ სამსახურს. ჩვენს ფეხბურთელებს მატჩის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, არ უტარდებათ აღდგენითი მასაჟი ან რომელიმე საჭირო სარეაბილიტაციო დახმარება, გარდა ტრავმის ან სხვა ჩივილისა, რაც, რასაკვირველია, არასწორია.

წამყვანი ქართველი მეცნიერ-მედიკოსები მიიჩნევენ, რომ, გარდა მძიმე ავადმყოფობისა, რეაბილიტაცია ამა თუ იმ ფორმით უნდა უტარდებოდეს ყველა პაციენტს და, როგორც აღნიშნავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე— პრეზიდენტი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, ამ საქმის ორგანიზებაზე, პირველ რიგში, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ იმ შესაძლებლობათა ფარგლებში, რაც მათ გააჩნიათ. აკადემიკოსი რომა შაქარაშვილი თვლის, რომ სპორტსმენებს, განსაკუთრებით – მაღალტიტულოვან პირებს, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, აუცილებლად ესაჭიროებათ გარკვეული მნიშვნელობის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება. ბატონ რომას არაერთი სახელოვანი სპორტსმენისთვის გაუწევია კონსულტაცია და მიიჩნევს, რომ სპორტული გამოსვლების დამთავრების შემდეგ მათ აუცილებლად უნდა უტარდებოდეთ რეაბილიტაცია სათანადო პროგრამით.

რეაბილიტაციის, კერძოდ – ფიზიკური რეაბილიტაციის თეორიული და კლინიკური საკითხების მეცნიერული კვლევა უნდა გრძელდებოდეს. მალე დღის წესრიგში დადგება, ადამიანის ორგანიზმში სრულიად მოულოდნელად მეოთხე, ე.წ. გარდამავალი, მდგომარეობის განვითარების პრობლემის კლინიკური შესწავლა. ამ დროს ადამიანს შეიძლება უცნობი მიზეზის გამო (კლინიკური ნიშნების გამოვლენის გარეშე), შეეცვალოს არა მარტო გუნება-განწყობა, განუვითარდეს შემაწუხებელი შეგრძნებები და სხვა, არამედ — მნიშვნელოვნად დაუქვეითდეს შრომის უნარი. ახალი თეორია აკადემიკოს მიხეილ ხანანაშვილს ეკუთვნის და, ალბათ, რეაბილიტაციის თვალსაზრისითაც საჭიროებს შესწავლას, რათა დროულად მოხდეს ასეთ მდგომარეობაში მყოფი პიროვნებისთვის საჭირო დახმარების გაწევა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე (დეკანი, პროფესორი ლ. მასხულია), წარმატებით ხორციელდება ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალისტების მომზადება, რომლის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ, როგორც საქართველოს სპორტულ გუნდებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, ისე — უცხოეთში. სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი, პროფესორი **ნ. ჭაბაშვილი**) მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მედიცინის, რეაბილიტაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების მაღალი კურსის სტუდენტებისთვის კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის სწავლების საქმეს. ასე რომ, აღნიშნული პროფილით კადრების მომზადება ამ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში გეგმურად ხორციელდება და, მათთვის გარანტირებული სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში, მომავალში მოსახლეობის პრევენციასა და მკურნალობის საქმეს მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა ექნება კვალიფიციური რეაბილიტოლოგ-კინეზოთერაპევტი მეთოდისტების მომზადების საქმეს.

რასაკვირველია, სწრაფად და ფართო მასშტაბით კინეზოთერაპიის მეთოდის დამკვიდრება სხვადასხვა სამკურნალო ცენტრში, 20 წლის წინანდელი მასშტაბით ვერ მოხერხდება, მაგრამ, მთავარია, რომ მასზე ზრუნვას ბევრად მეტი ყურადღება დაეთმოს, ვინაიდან სარეაბილიტაციო სამსახურის სრულყოფა, სამედიცინო დარგის პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

**რომანოზ სვანიშვილი,**
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
პროფესორი

მოსაგონარი

# ირაკლი ფორაქიშვილი



გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, მაღალკვალიფიციური თორაკოქირურგი **ირაკლი ფორაქიშვილი.** მისი დაკარგვა განსაკუთრებულ ტკივილს იწვევს, რადგანაც გარშემომყოფთათვის მისეული სითბო, ყურადღება, თანადგომა და ამაგი ჩვეულებრივი რამ იყო...

დაიბადა 1945 წლის 17 ოქტომბერს ფორაქიშვილების ოჯახში, სადაც მუდამ ინტელექტუალობა, მამულიშვილობა, არისტოკრატიზმი სუფევდა. 1963 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, 1968 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო მცხეთის რაიონულ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ექიმად, შემდეგ – მარნეულის რაიონულ საავადმყოფოში; 1971 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის პულმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კლინიკურ ორდინატორად, სადაც მუშაობდა აკადემიკოს ფ. უგლოვის ხელმძღვანელობით და ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციურ ექიმ-თორაკალისტად. 1974 წელს მუშაობას იწყებს აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გულ-მკერდის ქირურგიის განყოფილებაში ორდინატორად, 1981-2010 წლების განმავლობაში – ამავე განყოფილების გამგედ, 2010 წლის დეკემბრიდან – შპს №5 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

ბატონი ირაკლი ახლობლების და მეგობრებისთვის თავდადებული პიროვნება იყო – გულისხმიერი, სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი, მკურნალი და შემწე, მრავალი პაციენტისთვის – დაუვიწყარი ექიმი. მან კარგად იცოდა ყველა მათგანის ფასი, მათ გარეშე სიცოცხლე არად მიაჩნდა, ამიტომ იყვნენ მის გვერდით ყოველთვის და არასდროს უგრძნია თავი მარტოდ.

უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქალაქი, სამშობლო, ქართული ეროვნული ტრადიციები, კულტურა, გახლდათ ღრმად განსწავლული პიროვნება, კარგად ერკვეოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში...

წლების განმავლობაში აწუხებდა გული, მაგრამ მისი გარდაცვალება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, მოულოდნელად დატოვა წუთისოფელი...

ირაკლი ფორაქიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში, რომელთა პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

**თსსუ–ის ქირურგიის №1 დეპარტამენტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება**

**აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა,**

**ქალაქის მე–5 საავადმყოფო**

სპორტი

# ტურნირი საერთაშორისო სტატუსით



ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს დათმობილი სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას. სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, **ზაურ ფხალაძის** და საუნივერსიტეტო საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის**, ორგანიზებით, მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები ტარდება, რომლებშიც, ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიურობენ უცხოელი სტუდენტები.



ცენტრის ინიციატივით, სულ ახლახან, სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა წარსულში ყველასთვის ცნობილი ქართველი ფეხბურთელების – **ზორბეგ ებრალიძის** და **ფირუზ კანთელაძის** სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც საერთაშორისო სტატუსით იყო წარმოდგენილი.

სწორედ „ღირსების ორდენის" კავალრების, **ზორბეგ ებრალიძის** – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და **ფირუზ კანთელაძის** – „საქართველოს სპორტის დამსახურებული რაინდის" – საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა აღნიშნული ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა უცხოურენოვანი ფაკულტეტის 12-მა გუნდმა, რომლებიც შემდგომში ორ ქვეჯგუფად დაკომპლექტდნენ.

საბოლოოდ, პირველ ადგილზე „ნიგერიის I", მეორეზე – „ნიგერიის – II", მესამეზე კი – თურქეთის გუნდები გავიდნენ.

უცხოელ სტუდენტთა ოსტატობით და მონდომებული თამაშით მოხიბლულნი დარჩნენ სტუმრები, რომელთაც ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებით და თასებით დააჯილდოვეს სტუდენტური გუნდები თუ გამორჩეული ფეხბურთელები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის აშკარად პირველობს მინი-ფეხბურთში სტუდენტთა შეჯიბრების სიუხვით.




თეატრი

# თეატრი „ჰიგია" ახალი სპექტაკლით




თსსუ-ის დრამატულმა სპექტაკლმა „ჰიგიამ" 21 მაისს პრემიერა წარმოადგინა – **შადიმან შამანაძის** პიესა – **„ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში".**

სპექტაკლში თსსუ-ის დამამთავრებელი კურსების სტუდენტები მონაწილეობდნენ, კერძოდ: **რუსკა ყურუა, ნათია ინალიშვილი, ნინო აბშილავა, ანა ხიდეშელი, თამაზ თამაზაშვილი, ალექსანდრე შენგელია**, რომლებიც პროფესიონალ მსახიობებს არ ჩამოუვარდებიან საშემსრულებლო ტექნიკით, მეტყველებით, პლასტიკით თუ მუსიკალობით.

თეატრ „ჰიგიას" რეჟისორმა, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა **ნათია გუჯაბიძემ** სპექტაკლით კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება თანამედროვე საზოგადოების პრობლემებზე, 21-ე საუკუნის თანამდევ პროცესზე.

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა **ლუკა ქიქავამ**, მხატვარ-დიზაინერია **სალომე ბულია,** ქორეოგრაფი – **ზიზი მარგალიტაძე**, დეკორატორი – **გიორგი კოლხიდაშვილი,**



განათების უზრუნველყოფა – **ოთარ ბუხრაშვილი.**

სპექტაკლმა, რომელსაც თსსუ-ის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ასევე, ქართველი და უცხოელი სტუდენტები და თეატრის გულშემატკივრები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან ესწრებოდნენ, სრული ანშლაგით ჩაიარა და დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.